



ზბიგნევ ჰერბერტი<sup>1</sup>

## ეტრუსკების ცივილიზაციის შესახებ

(წიგნიდან „ლაბირინთი  
ზღვის პირას“)<sup>2</sup>

ეტრუსკები ისეთი მოღუბლი გახდნენ, თითქოს დიდი ხანი არ იყოს, რაც აღმოაჩინეს, ან თითქოს ისინი იყვნენ ხმელთაშუა ზღვის არქეოლოგიის ბოლო სენსაცია. ამ ილუზიებით მოცული ცივილიზაციისადმი ინტერესი სამეცნიერო წრეებს გასცდა. გაზეთების ფურცლებზე ჩნდება დაღუპული ეტრუსკული ქალაქების სახელწოდებები და ფანტაზიის აღმძვრელი ყალბი ცნობები, თითქოს მათი ანბანის გაშიფრვა მომხდარიყო. ლიტერატორები მრავალ ქვეყანაში თხზავენ რომანებს, რომლებიც მკვდრეთით აღადგენენ რომაელთა წინამორბედების ტრაგიკულ ისტორიას. იტალიის გზამკვლევები ტურისტების მისაზიდად ხოტბას ასხამენ იმ ქალაქებს, რომლებიც აქამდე ტრადიციულ მარშრუტებში საერთოდ არ შედიოდა – ვოლტერას, ტარკვინიას, ვეის.

ეს ეტრუსკომანიის არც პირველი ტალღაა და არც უკანასკნელი.

არქეოლოგებმა და ისტორიკოსებმა მოახერხეს იტალიაში ეტრუსკების ისტორიის რეკონსტრუქცია ძვ. წ. მე-9 ს-იდან. მდინარეებსა – ტიბრსა და არნოს – და ტირენის ზღვის სანაპიროს შორის ისინი ქმნიან პირველ, რომაელთა წინამორბედ, ცივილიზაციას. ასეთი გახლდათ „ძლევაძმოსილება ეტრურისა, რომლის დიდებით სავსე იყო ხმელეთიც და ზღვაც კი მთელი იტალიის გაყოლებით, აღაპებიდან სიცილიის სრუტემდე“ – ამბობს ტიტუს ლივიუსი<sup>3,4</sup>. რამდენიმესაუკუნოვანი აყვავების შემდეგ ძვ. წ. მე-4 ს-დან იწყება ამ, თუ შეიძლება ასე მოვიხსენიოთ, იმპერიის დაცემა. ძვ. წ. მე-2 ს-ში ეტრურია ძლევაძმოსილმა რომაელებმა საბოლოოდ გადასასლეს და უკვალოდ მოინეღეს. გამარჯვებული ქვეყნის ისტორიკოსები ჩვეულებრივ ცდილობენ, დამარცხებულის როლი დაამცრონ და მისი კვალიც გააქრონ. ჩვენ კი, ვისაც მათგან მემკვიდრეობით დანაშაულიც გვერგო და ამ დანაშაულთა მიჩქმალვაც, ახლა ვცდილობთ წარსულში დაკარგული სამართლიანობის აღდგენას: ხმა დაუბრუნოთ ისტორიის დიად მუნჯთ – იმ ხალხებს, რომელთაც წარსულში იღბალმა ზურგი აქცია.

ჩვენთვის რომ ეკითხათ, თუ რომელია უძველესი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები თუ პროცესები, უყოყმანოდ დავასახელებდით სპარსელებთან ბერძნების ბრძოლასა და რომაელთა დაპყრობებს. ამის მიზეზი, უდავოდ, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ძლევაძმოსილი ავტორიტეტია. ალბათ, ამ მიზეზით ხმელთაშუა ზღვის აუზის კოლონიზაციის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, ისტორიული დროის დასაწყისში მიმდინარე პროცესი, ჩვენს ცნობიერებას საკმაოდ ბუნდოვნად ესახება. კაცობრიობის ეს დიადი თავგადასავალი ისტორიკოსებს ბერძენთა, ფინიკიელთა, ეტრუსკთა, კართაგენელთა, რომაელთა ხელით დაწერილ, სანახევროდ წაშლილ ფრესკას ან რომელიღაც მრავალშრიან პალიმფსესტს აგონებს, რომლის სიღრმეებიდან ისტორიის ზედაპირზე დროდადრო ნაკლებად ცნობილი ხალხები ამოტივტივდებიან, რომელთაგან ოდენ სახელი თუ შემორჩა ან ხსოვნა მათი ძლევისა.

<sup>1</sup> ზბიგნევ ჰერბერტი (Zbigniew Herbert, 1924-1998) – პოლონელი პოეტი, დრამატურგი, ესეისტი.  
<sup>2</sup> Zbigniew Herbert. O Etruskach // Zbigniew Herbert. Labirynt nad morzem. Warszawa, Fundacja Zeszytów Literackich, 2000, s. 111-125 / Trident eBooks // <http://polski.gim26.gda.pl/Z.%20Herbert%20-%20Labirynt%20nad%20morzem.pdf>.  
<sup>3</sup> ტიტუს ლივიუსი (ლათ. Titus Livius, ძვ. წ. 59-17) – რომაელი ისტორიკოსი. სახელი გაითქვა თავისი ფუნდამენტური ნაშრომით „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან“ („Ab urbe condita“) 142 წიგნად.  
<sup>4</sup> ტიტუს ლივიუსი. რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან. წიგნი I, 2 (4).

ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დამდეგს იტალიის, ისევე როგორც მთელი ევროპის, მოსახლეობა ისტორიამდელ ხანაში ცხოვრობდა და დიდი აღმოსავლური ცივილიზაციის ცენტრების გავლენის მიღმა რჩებოდა. აპენინების ნახევარკუნძულზე გაბნეულ ცალკეულ დასახლებებსა თუ მთის მწვერვალებზე თავმოყრილ გამაგრებულ საცხოვრისებში მკვიდრობდნენ მიწათმფლობელები და მწყემსები, რომლებიც სპილენძისა და ბრინჯაოს პრიმიტიულ იარაღებს იყენებდნენ. ძვ. წ. მე-9, შეიძლება მე-8 ს-შიც კი, ეტრუსკების გამოჩენით იტალიამ თავი დააღწია ხანგრძლივ ისტორიამდელ ძილს. პაღუს ველებიდან თვით კამპანიაზე ტირენის ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე აღმოცენებას იწყებს ხალხმრავალი ქალაქები, ვითარდება ვაჭრობა, ისახება მეტალურგია, ნახევარკუნძულზე პირველად ყვავის დიდი ხელოვნება. ეტრუსკებს ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ყველა პირობა აქვთ: ნაყოფიერი მიწებიც და მალარობიც, არმიაც და ფლოტიც. ძველ მსოფლიოში მათ არაერთ მნიშვნელოვან ნავიგაციურ გამოგონებას მიაწერდნენ, კერძოდ, ლუზისას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ინფორმაცია მთლად ზუსტი არაა, იგი იმას ნამდვილად ადასტურებს, რომ ეტრუსკებს საპატიო ადგილი ეჭირათ საზღვაო სახელმწიფოთა შორის.

ძვ. წ. მე-7 ს-ის შუა წლებამდე ლაციუმი, რომელიც ძლიერების აკვანი, ჯერ კიდევ უმნიშვნელო, სხვადასხვა ტომით დასახლებული ქვეყანა იყო, რომელთაც ერთმანეთთან ნაკლებად ჰქონდათ კავშირი. თვითონ მარადიული რომიც, განა რა იყო იქამდე, სანამ კლიო იტყოდა თავის სათქმელს? სახელგანთქმულ შვიდ ბორცვზე მხოლოდ რამდენიმე უბადრუკი სოფელი იდგა, სადაც სხვადასხვა წარმომავლობის, ერთმანეთისგან განსხვავებული წეს-ჩვეულებების მქონე, ნახევრად ველური ხალხი სახლობდა.

რომულუსი და რემუსი მათი გამოძკვები ძუ მგლითურთ, მუხეუმში უნდა გაიგზავნოს, იქ, სადაც მითები ინახება; სიმართლე თუ გინდა, რომის ნამდვილი შემოქმედნი ეტრუსკები იყვნენ. მათ იოლად დაიმორჩილეს ლათინელები და დააარსეს დედაქალაქი მომავალი იმპერიისა, რომლის ძალაუფლებაც ძვ. წ. 616-510 წლებში ტარკვინიუსების ეტრუსკულ დინასტიას ეპყრა ხელთ. ის ფაქტი, რომ იმ დროს რომი ეტრუსკული ქალაქი იყო, სულაც არ გახლავთ ჰიპოთეზა, არამედ არქეოლოგიური კვლევებით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულებებითაა დადასტურებული. რომში ხომ არა მხოლოდ ატიკური კერამიკაა ნაპოვნი, იმის მსგავსი, როგორსაც ეტრუსკულ ქალაქებშიც პოულობენ, არამედ ნაშთები იმ ძველი კედლებისა, რომელთა აგებასაც ტრადიციულად სერვილიუს ტულიუსს მიაწერენ, ტარკვინიუსების დინასტიის რიგით მეორე მეფეს. ეტრუსკული ინჟინრების მიღწევად მიიჩნევა *Cloaca Maxima*<sup>5</sup>-ს სადრენაჟო სისტემის აგება, რომელიც ახლანდელი ფორუმის ტერიტორიაზე არსებული ჭაობის ამოშრობას ემსახურებოდა. თვით კაპიტოლიუმში, დღევანდელი რესტავრაციის მუხეუმის ქვეშ, აღმოჩნდა იუპიტერის სალოცავი ტოსკანური მშენებლობისთვის ნიშანდობლივი სამი ცელით.<sup>6</sup> რამდენიმე წლის წინ რომში აღმოჩენილი და სამზეოზე გამოტანილი ორი ეტრუსკული წარწერაც ამტკიცებს, რომ ამ ქალაქში ეტრუსკულ ენაზეც საუბრობდნენ. შესაძლოა, თვით რომის სახელიც რომულუსიდან კი არა, რუმის<sup>7</sup> ეტრუსკული ოჯახიდან მოდის; ხოლო რომის უძველესი სიმბოლო – განთქმული ძუ მგელი ძვ. წ. მე-5 ს-ით დათარიღებული, უეჭველად ეტრუსკული ბრინჯაოს სკულპტურაა. ეტრუსკებისთვის ლათინელები არც კონკურენტები იყვნენ და არც საშიშნი. მათი ნამდვილი მტრები ბერძენები იყვნენ.

ეტრუსკების განსახლების ტრადიციულ ადგილად მდინარე არნოსა და ტიბრს შორის არსებული ტერიტორია მიიჩნევა. მართლაც, ახლანდელი ტოსკანა მათი დასახლების ცენტრი იყო, თუმცა, ეტრუსკების მადა ამაზე ბევრად შორს მიდიოდა: ჩრდილოეთით იტალიის ბელელი, ლომბარდია ეგულებოდათ, სამხრეთით – კამპანია. ეტრუსკებმა დაიპყრეს კორსიკა და სარდინიაც. თუკი დიოდორუსს<sup>8</sup> დავუჯერებთ, რომელიც სიცილიაზე ცხოვრობდა, მათ განზრახული ჰქონდათ

<sup>5</sup> მთავარი ჩასადინარი (ლათ.).

<sup>6</sup> ცელა (ლათ. *cella*) – ანტიკური ტაძრის მთავარი ადგილი, სადაც ღვთაების ქანდაკება იდგა და სრულდებოდა რელიგიური წეს-ჩვეულებანი.

<sup>7</sup> რუმი აგრეთვე გახლავთ მეომრის სახელი, რომელიც მოისხენიება კუნძულ ლემნოსზე აღმოჩენილ საფლავის ქვაზე (ძვ. წ. მე-7 ს.) ამოკვეთილ ეტრუსკულ ტექსტ-დატირებაში. იხ.: Котова Г.Г. Этруские тексты: Новое прочтение. М.: РГГУ, 2010. 229 с. (რედ.).

<sup>8</sup> დიოდორუსი სიცილიელი (ბერძ. Διοδωρος Σικελιώτης, ლათ. *Diodorus Siculus*, დაახ. ძვ. წ. 90-30 წწ.) – ძველი ბერძენი ისტორიკოსი და მითოგრაფი, ისტორიულ თხზულებათა 40 წიგნისგან შემდგარი კრებულის *Bibliotheca Historia*-ს ავტორი.

ზღაპრული კუნძულის (ალბათ, მადეირას ან კანარის რომელიმე კუნძულის) კოლონიზაცია, რომელიც ოკეანეში ჰერკულესის სვეტებს იქით, ესე იგი იმდროინდელი მსოფლიოს საზღვარზე მდებარეობდა.

კოლონიზატორებს, როგორც წესი, წინ უსწრებდნენ ვაჭრები. არქეოლოგთათვის ეტრუსკების აქ ყოფნის თვალსაჩინო კვალი შავი ბუკერო<sup>9</sup>, რომელიც გათხრებისას აღმოაჩინეს მარსელშიც, იბერიის ნახევარკუნძულზეცა და კართაგენშიც.

ეტრუსკებისა და ბერძნების გზები ადრევე გადაიკვეთა, თითქოს ხმლები გადაჯვარედინდნენო. უკვე პირველმა ბერძენმა კოლონიზატორებმა ნახეს ტოსკანელები აღმოსავლეთ სიცილიაში. მათ შორის მოხდა დავა ლი პარიის კუნძულების გამო. კამპანიაში ბერძენებმა შეძლეს მტრის ტერიტორიის შუაგულში, ეტრუსკული კაპუის მახლობლად მდებარე პორტ კუმეს შენარჩუნება. ეტრუსკები კართაგენელებს შეუკავშირდნენ და ძვ. წ. 540 წელს კორსიკის ნაპირებთან დაამარცხეს ბერძნული ფლოტი. გამარჯვება საბოლოო არ აღმოჩნდა – ძალთა არამყარი თანაფარდობა მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელიწადს გაგრძელდა.

უკვე ძვ. წ. მე-5 საუკუნე უწინასწარმეტყველებს ეტრუსკებს ხანგრძლივი აგონიის დასაწყისს. რომის დაკარგვა მათთვის იმდენად საფრთხის მომასწავებელი არ იქნებოდა, ეს რომ მსოფლიოს ახალი ბატონების გამოჩენის ნიშანი არ ყოფილიყო. რომაელებმა, დაიმორჩილეს რა ლაციუმი, ლამის დაუყოვნებლივ შეუტეეს ახლომდებარე ვეის. ამ ორ ქალაქის ბრძოლის შესახებ ცნობები, რომლებიც შეიძლება რომაელ ისტორიკოსებთანაც, განსაკუთრებით ტიტუს ლივიუსთან მოვიძიოთ, აშკარად მოწმობს, რომ რომაელებს სწორედ ამ პერიოდში უჩნდებათ მსოფლიოს დაპყრობის იდეა. ვეისათვის ასწლიანი ბრძოლის დრამატული და ეპიკური აღწერა თითქოს ტროის ომის მაგალითზე იქმნებოდა. ქალაქი ძვ. წ. 396 წელს, ტროის მსგავსად, ათწლიანი ალყის შემდეგ საბოლოოდ განადგურდა. მისი მცხოვრებნი მონებად წაიყვანეს ან ამოხოცეს. ამიერიდან იუნონას ქანდაკება ავენტინზე ხელახლა აშენებულ რომის ტაძარს დაამშვენებს. ეტრუსიის ბედი გადაწყვეტილია. მშვენიერი ეტრუსკული ქალაქების – ტარკინიის, კაერის, ვულჩის, ვოლსინიის – დაცემას მხოლოდ დროლა სჭირდებოდა.

ნეპოტის<sup>10</sup> ცნობით, სწორედ იმ დღეს, როცა სასტიკი მარკუს ფურიუს კამილუსი<sup>11</sup> ვეის იპყრობს, პადუის ველზე კელტების ურდოები იჭრებიან. ეტრურია ყველა მხრიდან გარშემორტყმულია. მართალია, კელტები ნაყოფიერი ველის დაპყრობით კმაყოფილდებიან (სადაც ალპებისწინა გალია შექმნეს), მაგრამ მათი მძარცველური თავდასხმები ქვეყანას მოსვენებას მაინც არ აძლევს. ორმხრივი სისასტიკის მიუხედავად, რომაელებთან ომი მაინც ორ თანაბარძალიან, ცივილიზაციის ახლო საფეხურებზე მდგომ პარტნიორს შორის ომი იყო. მასში შეიძლებოდა გამოეყენებინათ მიღებული ტაქტიკური ხერხები ან დი პლომტიური თამაშები წამოეწყოთ. ბარბაროსების ანარქიული დაჯგუფებების თავდასხმები კი სეტყვას, გვალვასა და ეპიდემიას ემსგავსებიან. ალბათ, ისინი ეტრუსკებში ისეთივე შიშის ზარსა და უმწეობის შერდნებას იწვევდნენ, როგორსაც მოგვიანებით ვიკინგები შუა საუკუნეების ევროპაში.

ეტრუსკების რომაელებთან ბრძოლაზე რომ გველაპარაკა, როგორც ომზე ორ სახელმწიფოს შორის, ეს მცდარი განზოგადება იქნება. სინამდვილეში, ეტრურია თანამედროვე გაგებით, სახელმწიფო არასდროს ყოფილა. ის, ძველი საბერძნეთის მსგავსად, ქალაქებისა და მათდამი დაქვემდებარებული ადგილების კონფედერაციას წარმოადგენდა გამოკვეთილი პოლიტიკური ცენტრის გარეშე. მართალია, ქალაქთა შორის ზოგჯერ ვხედავთ ჰეგემონიის გამოვლინებებს (მთავარ ქალაქად ჯერ ტარკინია, კაერე, შემდეგ – კიუზი გვევლინება), მაგრამ მაინც ყოველ მათგანს საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკა გააჩნდა. ამან რომაელებს საქმე გაუადვილა. მათ წინააღმდეგ

<sup>9</sup> Bucchero nero (იტალ., buccaro (პორტ.) – სურნელოვანი თიხა) – შავი (სინამდვილეში ფართო სპექტრის – რუხიდან ყავისფრამდე) ფერის, უძველესი ეტრუსკული კერამიკა: ჭურჭელი, ლამპრები, მაყალი და სხვ. ჰქონდა პრიალა ზედაპირი, ფოფურული, რელიეფური და სხვა დეტალებითა და ორნამენტებით.

<sup>10</sup> კორნელიუს ნეპოტი (ლათ. Cornelius Nepos, ძვ. წ. 99-24 წწ.) – რომაელი ისტორიკოსი, ატიკის, ციცერონისა და კატულის მეგობარი. სასიყვარულო ლექსების გარდა, მის პირველ ნაწარმოებთა შორის იყო ქრონიკა სამ წიგნად. იგი წარმოადგენდა სინქრონისტულ ტაბულებს, რომლებიც აღარებდა საბერძნეთისა და რომის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. ბოლოს უპირატესობას ანიჭებდა კულტურის ისტორიასა და ბიოგრაფიებს (რედ.).

<sup>11</sup> მარკუს ფურიუს კამილუსი (ლათ. Marcus Furius Camillus, დაახ. ძვ. წ. 447-365) – რომის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ცენზორი, ტრიბუნი, დიქტატორი. გალების განდევნის გამო მიიღო „რომის მეორე დამაარსებლის“ ტიტული (რედ.).



არც არასოდეს დარაზმულა გაერთიანებული ეტრუსკული არმია. როცა რომელსამე ქალაქს ან ქალაქებს დამღუპველი საფრთხე ემუქრებოდა, სხვები რომაელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, ან კიდევ გულგრილად შეჰყურებდნენ კატასტროფას, მეზობლებს რომ დაატყდათ თავს. ეტრუსკებმა სათანადოდ ვერც მოწინააღმდეგის დროებითი წარუმატებლობების გამოყენება მოახერხეს, მაგალითად, სამნიტური<sup>12</sup> ომების დროს. სამაგიეროდ, რომაელები მეთოდურად, ლათინური თანმიმდევრობით, ერთმანეთის მიყოლებით თიშავდნენ ბრძოლიდან წინააღმდეგობის ჯერ ერთ, მერე მეორე მომენტს. თუკი ისინი ვინმესთან ზავს დადებდნენ – მხოლოდ შემდგომი სამხედრო კამპანიისთვის მომზადების მიზნით. მშვილობა ეტრუსკებისთვის მორიგი დარტყმის ფატალისტურ მოლოდინს ნიშნავდა. მათი ტაქტიკა განწირული თავდაცვა იყო.



ლეოპარდების სამარხის ფრესკის დეტალი. ძვ. წ. დაახ. 480-470 წწ. ტარკვინია.

შესაძლოა, ეტრუსკების ბედი, როგორცაც მას აღვიქვამთ, იქიდან მომდინარეობს, რომ ჩვენ მას უცხოურ წყაროთა მონაცემების შუქზე ვუყურებთ. ეტრუსკები თითქოს ისტორიის ობიექტები იყვნენ და არა გონიერი სუბიექტები, ვინც თავს იმართლებს, დამარცხების მიზეზებს განმარტავს, სთხოვს შთამომავლობას, უფრო ლმობიერი განაჩენი გამოუტანოს და შემწყნარებლობა გამოიჩინოს.

თუკი წარმოვიდგენდით, რომ ჩვენთვის ყველა ფაქტია ცნობილი ეტრუსკების ისტორიიდან, მაინც რამდენად ფერმკრთალი და აბსტრაქტული მოგვეჩვენება იგი რომის ისტორიასთან შედარებით, რომელშიც ასე უხვად გვხვდება სისხლსავსე პერსონაჟები – გმირები, სენატორები და მხედართმთავრები. თუმცა მათ არარსებობას მოცემულ შემთხვევაში კაცობრიობის ისტორიის ახლებური ხედვა ანაზღაურებს, რომელიც წარმოაჩენს ცივილიზაციის გამოვლინების ბიოლოგიურ ბუნებას. ეტრუსკების ისტორია გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა სახეობის ისტორიას მოგვაგონებს. ეს ქედმაღლური თვალთახედვაა, ადამიანურობას მოკლებულად რომ გვეჩვენება.

თავდაპირველად, ეტრუსკული ქალაქ-სახელმწიფოები მონარქიებს წარმოადგენდნენ, რომელთაც სუვერენი *lucumo*<sup>13</sup> ედგა სათავეში; მის ხელში იყო რელიგიური, საკანონმდებლო, ასევე სამხედრო, ანუ აბსოლუტური ძალაუფლება. ამ ძალაუფლების კრიზისმა, რომის მსგავსად, ძვ. წ. მე-6 და მე-5 საუკუნეებს შორის იჩინა თავი და ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, მისი სიმბოლოები უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ყველაფერი ის, რასაც ისინი თავდაპირველად გამოხატავდნენ. ოქროს გვირგვინი, სპილოს ძვლით შემკობილი *sella curulis*-ი<sup>14</sup>, ლიქტორის<sup>15</sup> წკნელების კონა<sup>16</sup> და ორპირი ნაჯახი<sup>17</sup> (მსგავს ნაჯახებს მინოსელებიც ატარებდნენ) რომაელებმა „იესესხეს“ და უმაღლესი ჩინოვნიკებისა და ტრიუმფატორების ატრიბუტებად აქციეს. ეტრუსურიაში თავდაპირველი მონარქია ოლიგარქიის მმართველობად გადაიქცა, რომელიც თავის პრივილეგიებს ერთმმართველობისა და პლებსის მოძრაობის საფრთხისგან იცავდა.

ჯანყი მოხდა კიდევ (მაგალითად, ძვ. წ. 264 წელს, ვოლსინიაში), მაგრამ მიუხედავად ამისა, პლებსის გამოსვლებმა სახე მაინც ვერ უცვალა მოუქნელ და დახლართულ საზოგადოებრივ სისტემას. არისტოკრატიული ეტრუსკული სახელმწიფოსთვის უცხო იყო პატრიციებსა და პლებებს შორის განსხვავებების თანდათანობით წაშლა, რაც რომის რესპუბლიკის არსებობის

<sup>12</sup> სამნიტური ომები – ომები რომის რესპუბლიკასა და სამნიტთა გაერთიანებას შორის ცენტრალურ იტალიაში ძვ. წ. მე-3 ს-ის მეორე ნახევარში და ძვ. წ. მე-3 ს-ის დასაწყისში. ამ ომების შედეგად რომაელებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს იტალიის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ერები.

<sup>13</sup> ეტრუსკი ხელისუფალი (ლათ.).

<sup>14</sup> ეტლის, ანუ კურუსის სავარძელი – უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა დასაბრძანებელი, დამზადებული სპილოს ძვლის, მარმარილოსა და/ან ლითონისგან, საზურგის გარეშე, მოღუწულ X-ისებურად გადაჯვარედინებულ ფეხებზე (*currus* (ლათ.) – ტრიუმფალური ეტლი, ცხენებიანი ოთხთვალა; *sella* (ლათ.) – ტახტი, სავარძელი, უნაგირი, პალანკინი) (რედ.).

<sup>15</sup> ლიქტორი – [ლათ. *lictor*] ისტ. ძველ რომში – უმაღლესი თანამდებობის პირის საპატიო მცველი (რედ.).

<sup>16</sup> იგივე ფასციები (ლათ. *fascēs*) – სამეფო ხელისუფლების, ასევე უმაღლეს მაგისტრატთა ატრიბუტი – წითელი თასმით შეკრული თელის, ტირიფის ან არყის ხის წკნელის კონა, რომლის ტარების უფლება ლიქტორს ჰქონდა. აღნიშნავდა ძალის გამოყენების უფლებას საკუთარ გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით (რედ.).

<sup>17</sup> ქალაქის საზღვრებს გარეთ ლიქტორის კონაში, ანუ ფასციებში ჩაარტობდნენ ნაჯახს ან სეკირას, რომელიც იყო სიმბოლო უმაღლესი თანამდებობის პირების უფლებისა, სიკვდილით დაესჯა ან შეეწყალებინა ქვეშევრდომები (რომის ქალაქებში სასიკვდილო განაჩენების გამოტანის უმაღლესი ინსტანცია ხალხი იყო) (რედ.).

პირველი საუკუნეებისთვის იყო დამახასიათებელი. თვით პოპულარულმა მხატვრებმა – ბერძენმა ხელონებმაც კი, ტოსკანაში ძალიან ადრე რომ დასახლდნენ, ქვეყანაში მხოლოდ მეტეკთა<sup>18</sup> პოლიტიკური სტატუსი მიიღეს.

მონებზე რაღა უნდა ითქვას? მათი ხვედრი არაფრით უკეთესი არ იყო, ვიდრე ძველი მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებში, რაზეც სასტიკად ჩანსობილი აჯანყებებიც მოწმობს. არ ღირს ვენდოთ არც იმას, რასაც სენტიმენტალური რომანისტები წერენ ეტრუსკთა ლმობიერებაზე, და არც იმას, რაც ეტრუსკული ფრესკების სცენებზეა გამოსახული (ისინი უმაღლესი წრეების ცხოვრებას გადმოგვცემენ), სადაც სადღესასწაულო სუფრებს შორის უმშვენიერესი მერიქიფეები, ფლეიტისტები და მოცეკვავეები ტრიალებენ.

ეტრუსკ მეომართა ათასობით სტატუეტი, რომელთაც იტალიის მუზეუმებში შეხვდებით, ერთდროულად აღტაცებისა და ერთგვარი სიბრაღის გრძნობებს აღძრავს. მოხდენილი სხეულები, მუზარადებით შემკობილი ლამაზი თავები, შუბები – მეომრებს რომ მსუბუქად უპყრიათ ხელთ, თითქოს ბუმბულიაო, უფრო ბალეტის მსახიობებს მოგვაგონებენ, ვიდრე სისხლმომწყურებულ ჯარისკაცებს. ამ ესთეტიკური განზრახვის მიუხედავად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტირენის<sup>19</sup> არმია სავსებით ბრძოლისუნარიანი და, ყოველ შემთხვევაში, კარგად აღჭურვილი და გაწვრთნილი იყო. ბოლონის მახლობლად ნაპოვნი ბრინჯაოს სკულპტურა ამ არმიას მარშის დროს წარმოგვიდგენს. წინ კავალერია მიუძღვის, შემდეგ ქვეითი ნაწილები მისდევენ, მკაფიოდ გაყოფილი სამ მწკრივად: პირველი დარტყმის ერთ და მძიმედ აღჭურვილ მეომართა ორ ხაზად. კოლონას მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცები აბოლოებენ. აღწერილი ზუსტად ემთხვევა რომაულ ლეგიონში არსებულ დანაყოფებს: *bastati*<sup>20</sup>, *principles*<sup>21</sup> და *triarii*<sup>22</sup>. ეტრუსკები ამ სფეროშიც კი თავისდა დასაღუბად რომაელთა მასწავლებლები აღმოჩნდნენ.

თუმცა, რა არის სტრატეგია და ჯავშანი ღვთაებრივ ქუხილსა და ბედისწერასთან შედარებით, ზეცაში რომაა ნაწინასწარმეტყველავი? უდავოდ, ეტრუსკები ძველ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე რელიგიური ხალხი იყო, მაგრამ მათი რწმენა, თუკი ზოგჯერ ანუგეშებდა კიდევ, არაბებისა და ებრაელებისგან განსხვავებით, ფრთებს ნამდვილად არ ასხამდა მათ. პირიქით, იგი, როგორც ჩანს, თავის მიმდევრებს ფატალიზმის მჭიდრო ქსელში ხვევდა.

ბერძნულ-რომაული რელიგიების საპირისპიროდ მათი რელიგია გამოცხადებითი იყო. ერთ მშვენიერ დღეს, ხნულის კვალიდან გაკვირვებული ტარხონის – მიწის მფლობელისა და ტარკინიის დამაარსებლის – თვალწინ წარმოდგა ზებუნებრივი არსება. ეს იყო ღმერთი ტაგესი. მას ბავშვის გარეგნობა, თუმცა კი ასი წლის მოხუცის ჭკუა ჰქონდა. შეძრწუნებელი ტარხონის ყვირილზე ხალხმა მოირბინა და ტაგესმა ქადაგება დაიწყო...

ყველაფერს, რაც ეტრუსკების რელიგიაზე ვიცით, რომაულ, ბერძნულ და ბიზანტიურ კომენტარიებს უნდა ვუმაღლოდეთ. ყველა ისინი მოგვიანო პერიოდისაა, როცა ტირენიული ცივილიზაცია უკვე მკვდარი იყო. როგორც ჩანს, ამ გარემოებით აიხსნება ის, თუ რა მწირია ინფორმაცია ამ რელიგიის არსის, ანუ მისი მეტაფიზიკისა და ეთიკის შესახებ. კომენტატორების ყურადღება, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ტექნიკური მხარისკენ იყო მიმართული, როგორცაა მკითხაობა და შელოცვა, შესაბამისად იმისა, თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ ანტიკური დროის ხალხს ეტრურიაზე – როგორც *genetrix et mater superstitionum*-ზე.<sup>23</sup>

ეტრუსკული დისციპლინა – როგორც რომაელი ინტერპრეტატორები უწოდებდნენ – ღმერთებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობათა მომწესრიგებელ დებულებათა კრებული გახლდათ და ძირითადად ნიშანთა ახსნაზე იყო დამყარებული. ადამიანთა მიკროკოსმოსსა და ღვთაებრივ

<sup>18</sup> მეტეკები (მეტოიკები) (ძვ. ბერძნ. ΜΕΤΟΙΚΟΙ – ახალ ადგილას დასახლებულები) – არასრულყოფილიან მცხოვრებთა კლასი ძველ საბერძნეთში, უცხოელები და გათავისუფლებული მონები, რომლებიც გარკვეულ ადგილას (ისტორიულად – ატიკაში) ცხოვრობდნენ დროებით ან მუდმივად, იყვნენ თავისუფალნი, მაგრამ არ ჰქონდათ სამოქალაქო უფლებები არჩევნებში მონაწილეობისა, მსხვერპლშეწირვისა, უძრავი ქონების ფლობისა და ა. შ. (რედ.)

<sup>19</sup> ეტრუსკების ატიკური ბერძნული სახელი იყო Τυρρήνιοι, საიდანაც წარმოებულია ლათინური Tyrrhēnia (ეტრურია) და Tyrrhenum mare (ტირენის ზღვა) (რედ.).

<sup>20</sup> შუბოსნები (ლათ.).

<sup>21</sup> მძიმედ შეიარაღებული მეომრები (ლათ.).

<sup>22</sup> მარქაფი, რეზერვი (ლათ.).

<sup>23</sup> ცრურწმენათა დამბადებელი და დედა (ლათ.).

მაკროკოსმოსს შორის მყარდებოდა ზუსტი, ფორმალური, კოდიფიცირებული მიმართებები. ღვთისმსახურთა საქმიანობას ცალკეული ადამიანებისა და მთელი ხალხის ბედის წინასწარ განჭვრეტა წარმოადგენდა.

ეტრუსკთა წმინდა წიგნები – თუმცა თავდაპირველად მათი ტრადიცია, კელტი დრუიდების მსგავსად, ზეპირი იყო – სამ ძირითად ნაწილად იყოფოდა: *Libri charuspicipini*<sup>24</sup> – განმარტავდა ცხოველთა შიგნეულობით (უმათავრესად – ღვიძლით) მკითხაობის ხელოვნებას, *Libri fulgurales*<sup>25</sup> – მოიცავდა ელვათა ინტერპრეტაციას, და ბოლოს, *Libri rituales*<sup>26</sup> – წარმოადგენდა რეცეპტების ყველაზე უფრო ფართო კრებულს, რომელიც შეეხებოდა როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებას, შეიცავდა ინფორმაციას ქალაქების დაარსებისა და ტაძრების მშენებლობის შესახებ, კონსტიტუციას, ასევე სიზმრებისა და სასწაულების ახსნას.

პიანენცაში, ქალაქის პატარა მუზეუმში, შეგვიძლია ვნახოთ ბრინჯაოს ღვიძლი – ექსპონატი, რომელიც დაფარულია წარწერებით. საქმე ისაა, რომ ძველი ხალხების რწმენით, სიცოცხლე ღვიძლში სახლობდა, ხოლო ეტრუსკებისთვის ეს ორგანო, ამავედროულად, კოსმოსის მინიატურული მოდელიც იყო. გასული საუკუნის<sup>27</sup> 70-იან წლებში აღმოჩენილი ეს ბრინჯაოს ღვიძლი სასწავლო სახელმძღვანელოს მსგავს რამეს წარმოადგენდა ქურუმთათვის, რომლებიც ცხოველთა შიგნეულობას იკვლევდნენ. მისი ზედაპირი დაყოფილია გულმოდგინედ დახაზულ გეომეტრიულ ფიგურებად, რომელთა ცენტრალურ ნაწილებში ღვთაებათა სახელებია დატანილი. ასე რომ, იგი მარტო მცირე ციური ატლასი კი არ არის, არამედ, ცოცხალ სხეულში ღვთაებათა სამყოფელის ტოპოგრაფიაც. ალბათ, ღვთისმსახური დაწვრილებით შეისწავლიდა მსხვერპლშეწირული ცხოველის ღვიძლს და შემჩნეული ანომალია მისთვის ნიშანი იყო – ამა თუ იმ ღვთაების ხმა.

ღვთაებანი ადამიანებთან კავშირს ელვის დახმარებითაც ამყარებდნენ. თერთმეტი სხვადასხვაგვარი ელვა ცხრა სხვადასხვა ღვთაების განკარგულებაში იყო. მათგან მხოლოდ ტინია (რომაელებთან მას იუპიტერი შეესაბამება) განაგებდა სამ ელვას. პირველის გაგზავნა მას საკუთარი ნებით შეეძლო – ეს იყო გაფრთხილების სიგნალი. მეორე, რომელიც საშიშროებას შეიცავდა, მხოლოდ დანარჩენ თორმეტ ღმერთთან – ტინიას მეგობრებთან შეთანხმებით შეეძლო გამოეყენებინა. მესამე, ცათა მომაკვდინებელი და დამანგრეველი ცეცხლი, მხოლოდ ყველა უმაღლესი ღვთაების ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით შეიძლებოდა დედამიწაზე მოვლენილიყო. ეს თავისებური კოლევოიურობა ზეციური იერარქიის უკიდურეს სირთულეზე მეტყველებს, რაც სასულიერო პირებისგან შეცნობის დახვეწილი მეთოდების ფლობას მოითხოვდა. ტირენიელები ცას 16 ნაწილად ყოფდნენ. იმის დადგენა, თუ რომელ მათგანში დაიბადა ელვა და რომელ პუნქტზე დაეცა დედამიწაზე, ეტრუსკულ ქურუმებს აძლევდა საშუალებას განესაზღვრათ, თუ რომელი ღმერთი მიმართავდა მათ.

რელიგიის აღწერა მხოლოდ ღვთაებათა აღწერითა და ჩამოთვლით არ უნდა შემოიფარგლოს. მის არსზე ცოტა რამეს თუ გვეტყვის, ღვთაებებისა და მათი ატრიბუტების ნუსხა რომ დავადგინოთ. როცა ეტრუსკების რელიგიას ეხება საქმე, საკითხი მეტად დელიკატურია, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების ფრაგმენტულობასა და უცხო ქვეყნების – განსაკუთრებით ბერძნული, ბაბილონური და ქალდეური რელიგიების ძლიერ გავლენას. ამასთან გასათვალისწინებელია ღრმა ისტორიული ცვლილებები, რომლებიც შეეხო ეტრუსკთა რწმენას, ასევე ის ფაქტი, რომ მათი ყველა ღვთაება როდი იყო საყოველთაოდ აღიარებული, არამედ მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილს, ქალაქს ან ტაძარს უკავშირებდნენ.

ეტრუსკულ პანთეონში მთავარი ადგილი ეკავა ღვთაებათა ზეციურ ტრიადას: ტინია, უნი და მენვერა (ამ ღმერთებს რომში მამრობითი ტრიადა შეესატყვისებოდა: იუპიტერი, მარსი და კვირინი). ვოლსინიიდან წარმოიშვა ვერტუმნი – მცენარეულობის ახალგაზრდა, ძალ-ღონითა და სილადით სავსე ღვთაება, რომელიც თვით ბუნების მსგავსად ათასგვარად იცვლიდა სახეს. ვაზის მფარველი, თავიდან პულონში, შემდეგ კი მთელს ეტრუსურიაში პატივდებული ღვთაება ჟღერად სახელს – ფუფლუნსს –

<sup>24</sup> წინასწარმეტყველთა წიგნები (ლათ.).

<sup>25</sup> ელვათა წიგნები (ლათ.).

<sup>26</sup> რიტუალების წიგნები (ლათ.).

<sup>27</sup> იგულისხმება მე-19 საუკუნე. წიგნი, რომლის ფრაგმენტსაც (თარგმნის ქართულ ენაზე) თქვენ კითხულობთ, გამოცემლობაში ავტორმა 1968 წელს მიიტანა, მაგრამ მხოლოდ 2000 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა.



ატარებდა. ორგებთან დაკავშირებული მისი კულტი მეტისმეტად იყო გავრცელებული ტირენიელებს შორის და საფრთხეს უქმნიდა რომაელთა ზნეობას, რის შესახებაც ერთი რომაელი ისტორიკოსის ჩანაწერიც მეტყველებს. ქალ ღვთაებათაგან ყველაზე ცნობილი იყო ტურანი – ხმელთაშუა ზღვის დელტაზე ეტრუსკული ხორცშესხმა. ის ქალებსა და სიყვარულს მფარველობდა.

ღვთაებათა ამ მიახლოებითმა ჩამონათვალმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ეტრუსკების რელიგია განმსჭვალულია სიცოცხლის სინარულით აღსავსე აღქმით. სინამდვილეში, ალბათ, ძველ ერებს შორის არ არსებობდა არც ერთი სხვა ხალხი (შესაძლოა ეგვიპტელების გამოკლებით), რომელიც ასეთნაირად იყო მიმართული საიქიო სამყაროსკენ. შიში, პესიმიზმი (რასაც პოლიტიკური წარუმატებლობა კიდევ უფრო აღრმავებდა), სიკვდილის მუდმივი თანყოფნა – აი ამ რელიგიის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები. ადრეული ეტრუსკული აკლდამები შექმნილია ნადირობის, ნადიმების, ცეკვებისა და მემუზიკების უამრავი სცენით. თითქოს, საიქიოსეული აჩრდილები უზრუნველობასა და სინარულში ატარებენ დროს. თუმცა ძვ. წ. IV ს-დან მოყოლებული, სიკვდილის სახლების კედლებზე ჩნდება ღამის ფრინველებივით საშინელი დემონები – ხარუნი და ტუსულხი.

ავგურთა სამარხი ტარკინიაში დაკრძალვის დროს გარდაცვლილთა პატივსაცემად გამართული სასტიკი თამაშების შესახებ შემადრწუნებელი მოწმობაა. კედლის ფერწერა ორი მეომრის (უფრო მონების) შებრძოლების სცენას წარმოგვიდგენს – მათ მიერ დაღვრილ სისხლს გარდაცვლილთა სულებისთვის შვება უნდა მოეტანა. ერთ-ერთ მებრძოლს სადავით უპყრია უზარმაზარი ქოფაკი და თავს ესხმის თვალახვეულ მამაკაცს, რომელიც თავს კომბლით იცავს. ასეთი აშკარა სისასტიკე იმ დროში არავის აღელვებდა – ამის გამო არც ერთ ჩვენთვის ცნობილ მწერალს ეტრუსკების მისამართით საყვედური არ დასცდენია. ბოლოს და ბოლოს, მრავალი რომაული სისხლიანი სანახაობა, თუნდაც – გლადიატორთა ბრძოლები, ეტრურიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს პრობლემები მაშინდელი ადამიანების ზნეობრივი მოწყვლადობის მიღმა დარჩა. სამაგიეროდ – და ეს დამახასიათებელია – მართლაც აღმამოთებელი აღმოჩნდა ეტრუსკული ჩვეულებები ბერძენთა და რომაელთათვის. განსაკუთრებით გააფთრებული კრიტიკის საგნად ქალებთან დამოკიდებულება იქცა. ქალთა არაჩვეულებრივად მაღალი სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობა ტირენიელთა საზოგადოებაში, მათი ცივილიზაციის ფემინურობა ძალზე აღიზიანებდა ძველ ხალხებს, გამორჩეულად კი – რომაელებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ენეასის შთამომავლებმა ეტრუსკებისგან პიროვნების ნეგატიური ეტალონის მსგავსი რამ შექმნეს, ერთგვარი მუქი ფონი, რომელზედაც მომავალში უკვე თავიანთი პირქუში ღირსებები უნდა გაბრწყინებულიყო.

მეზობლის შეურაცხყოფის უცვლელი და უტყუარი საშუალება ყოველთვის მისი ცოლის ან ქალიშვილის კეთილშობილებაში ეჭვის შეტანა იყო. შეგვეძლო ვრცელი ანთოლოგია შეგვედგინა ბერძნული და რომაული ტექსტებისა, რომელთა თემა ტირენიელ ქალთა, ავტორთა აზრით, ფატალური ქცევა იქნებოდა. ჰეროდოტე წერს, რომ ლიდიამი (ეტრუსკთა სავარაუდო სამშობლოში) მზითევის შესაგროვებლად ყველა გოგონა პროსტიტუციით იყო დაკავებული. პლავტუსიც, უეჭველად ბაძავს რა მას, ტირენიელი გოგონების ქცევას უყოყმანოდ ასვამს დაღს:

*...Non enim hic, ubi ex Tusco more*

*Tute tibi indigne dotem quaeras corpore.*<sup>28</sup>

ბერძენი ისტორიკოსი თეოპომპი, რომელიც ძვ. წ. მე-4 ს-ში მოღვაწეობდა, ეტრუსკების ცხოვრებაზე მოგვითხრობს, როგორც დაუსრულებელ ურცხვ ორგიაზე.

ეტრუსკული სამარხების კედლების მოხატულობაში, დღესასწაულებს, გართობებსა და ზეიმებს რომ აღწერს, მამაკაცთა გვერდით ყოველთვის არიან ქალებიც. მართლაც, მხოლოდ კრეტა-მიკენურ ცივილიზაციაში აღწევენ ქალები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ასეთ მაღალ საფეხურს.

ერთმანეთისგან დაშორებულ ეტრუსკულ და კრეტა-მიკენურ კულტურებს შორის კავშირი განსაკუთრებული ძალით იხატება წარმოსახვაში. ამ შეგრძნებას მაიკლ ვენტრისისნაირი მახვილი გონებაც კი დაჰყვა, რომელიც ერთ თავის ადრეულ ნაშრომში ცდილობდა ეჩვენებინა,

<sup>28</sup> „...ლიდიელი ქალივით უღირსად იქცევი, სხეულით ვაჭრობ და ამით აგროვებ მზითევს“ (ლათ.; ტიტუს მაკიუს პლავტუსი (Titus Maccius Plautus, ძვ. წ. დაახ. 250-184 წწ.). „ზარდახმა“ („Cistellaria“)).

თუ რამდენად მოგვაგონებს ეტრუსკული ანბანი B ხაზოვან დამწერლობას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ისტორიული კავშირი ნაკლებად სავარუდოა. ეტრუსკული ქალების ძველი დროისთვის გამორჩეულად მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას იმიტაც ესმებოდა ხაზი, რომ მამაკაცის სახელს არა მამის, არამედ დედის სახელი დაერთოდა.

როგორც უნდა ყოფილიყო საქმე მორალთან დაკავშირებით, შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ ცხოვრების ხელოვნებაში ეტრუსკები დიდი ოსტატები გახლდნენ. მათ გამოარჩევდა მომხიბვლელი ბავშვური ქარაფშუტობა, განცხრომის კულტი, მისწრაფება ნატიფი ელეგანტურობისა და კომფორტისკენ. რენესანსის პერიოდის ტოსკანის სასახლის კარი ამ ცივილიზაციის ოდენ შორეულ ექოდ ჩანდა. ეტრუსკთა ჯერ ერთი, შემდგომ ატრიუმის ირგვლივ განლაგებული მრავალი ოთახისგან შემდგარი სახლი განსაზღვრავდა ინტიმურობითა და მომხიბვლელობით სავსე არსებობის ჩარჩოებს.

*„მათ ჰქონდათ ჩვეულება, სანადიმო სუფრას დღეში ორჯერ შემოსხდომოდნენ, გარშემორტყმულნი სახეებითა და ყვავილებით მოხატული ხალიჩებითა და ვერცხლის ათასგვარი ჭურჭლით. სუფრას უამრავი შინამოსამსახურე დასტრიალებდა – ირჩევდნენ ყველაზე მოხდენილებს, მეტ-ნაკლებად მდიდრულად ეცვათ იმის მიხედვით, თუ რა რანგის სტუმარი ჰყავდათ. აპარტამენტებით დაწყებული, ბატონისა და მოსამსახურეების მორთულობით დამთავრებული, ყველაფერი დიდებულად გამოიყურებოდა...“*

*ეტრუსკებს გარდასული ძლიერება და წინაპართა საბრძოლო დიდება დაეწინაურებდა და ცხოვრებას ნადიმებსა და ნებიერ ვართობებში ატარებენ და ამგვარი დაცემის მიზეზი, შესაძლოა, სწორედ მათი ქვეყნის სიმდიდრეში იმალებოდეს“.*

ეტრუსკთა გასტრონომიული ხელოვნებაც სათანადო იყო. ორვიეტოში გოლინის სამარხის კედლების მოხატულობა თითქოს მადისადმძვრელი სამზარეულოს სურნელებითაა გაჟღერებული. მათზე გასაოცარი რეალურობითაა წარმოდგენილი გურმანების მთელი მახვილგონივრული ლაბორატორია, სამზარეულოს უცნაურად ნაკეთი ნივთები, ასევე კავებზე ჩამოკიდებული ხორცის ნაჭრები და ნანადირევი.

ნადიმებს თან მუსიკა და ცეკვები ახლდა. ეტრუსკთა მუსიკალური ჩანაწერები რომ



შემორჩენილიყო, ჩვენ გავიგონებდით ფლეიტის გაბატონებულ ჟღერადობას, სულ რომ იცვლის ტონალობას, მაგრამ მთავარია, მაინც განუწყვეტლივ ისმის. „ტირენიის მცხოვრებნი ფლეიტის ხმაზე ხელჩართულ ბრძოლას მართავდნენ, პურის ცომს ზედდნენ და მონებს როზვებით სჯიდნენ“.

ასეთია თვითმხილველის გასაოცარი ფრაზა! ეტრუსკულ ლეგენდებში ასევე მოხსენიებულია ნადირობის ჭეშმარიტად ორფიკული ხერხი: ბარდებში დამალული ფლეიტისტი ცხოველებს ინსტრუმენტის ხმიანობით იტყუებს მახეში.

მუსიკისა და ცეკვიდან ერთი ნაბიჯია თეატრამდე. რომელიც ავტორის აზრით, იგი ამგვარად წარმოიშვა: ახალგაზრდები ლოცვისას ჟესტების წყებას ასრულებდნენ, რომელიც თავდაპირველად დაულაგებელი ყოფილა, ხოლო შემდგომში ასე უკვე ზეციური ბინადრებისადმი თხოვნის არსს გამოხატავდნენ. ეტრუსკელმა მოცეკვავეებმა, მიმებმა და მსახიობებმა<sup>29</sup> მალე რომამდეც მიადწიეს და უჩვეულოდ პოპულარულებიც გახდნენ. მათი წარმოდგენების კიდევ ერთი შთამაგონებელი გახლდათ გლეხთა სიმღერები, რომლებიც თავიანთ ზეციურ მფარველებს სწირავდნენ მსხვერპლს. ამგვარი დღესასწაულების ყველაზე განთქმული ცენტრი ფესცენიუმი იყო. ამ გლეხური ლაღობითა და იუმორით აღსავსე სიმღერებს ჰორაციუსიც ახსენებს და იქვე ხაზგასმით აღნიშნავს ანდაზებში გადასულ მათ თამამ გამონათქვამებსა და ცოტა არ იყოს უხემ სარკაზმს. მათი დრამატურგიისგან ჩვენამდე სრულებით არაფერს მოუღწევია. გამონაკლისია ტოსკანური ტრაგედიების ერთი დროში

<sup>29</sup> ლათინური სიტყვა *bistrion* (მსახიობი) ეტრუსკული წარმომავლობისაა.



გზაბნეული, თხზულებებდაკარგული ავტორის – ვინმე ვოლნიუსის შემთხვევით შემოჩენილი სახელი.

ყოველივე ამის მიუხედავად, ეტრუსური ენის ცნობები მაინც არ ყოფილა დაუსრულებელი ზეიმი. ეს იყო ხელოვნებისა და პირქუმი რელიგიის ქვეყანა, სადაც სიცოცხლისადმი დამოკიდებულება რომაულისგან სრულიად განსხვავდებოდა. ერთი შეხედვით პარადოქსულად გვეჩვენება სიკვდილისადმი გადაჭარბებული შიშისა და დახვეწილი ყოველდღიურობის ეტრუსკული შენაღობი.

ზემთ ადვინიშნით, რომ ეტრუსკები იტალიაში ძვ. წ. მე-8 ს-ში გამოჩნდნენ. ეს ისე უღერს, თითქოს საუბარი ბალადებში რომანტიკული სულის მოულოდნელ გამოჩენას შეეხებოდეს. ეტრუსკთა წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ ძველ ისტორიკოსებს აწუხებდათ. ჰეროდოტე მათ სამშობლოდ ლიდიას ასახელებს, რომელიც მცირე აზიის სანაპიროზე მდებარეობდა.

*„...ატისის, მანესის ძის, მეფობის დროს ლიდაში შიმშილობამ დაისადგურა <პურის მოსავლის სიმცირის გამო>. თავიდან ლიდიელები გასაჭირს მოთმინებით იტანდნენ, მაგრამ შემდგომში შიმშილი უფრო და უფრო რომ გაძლიერდა, მათ გამოსავლის ძებნა დაიწყეს და ამისთვის სხვადასხვა ხერხს იკონებდნენ. შიმშილის გრძობის ჩასახშობად ამგვარად იქცეოდნენ: ერთი დღის განმავლობაში მთელ დროს თამაშობებში ატარებდნენ, რათა საჭმელზე არ ეფიქრათ, მომდევნო დღეს კი ჭამდნენ, თამაშს კი წყვეტდნენ. ლიდიელებმა ასე 18 წელიწადი იცხოვრეს. ამავდროულად გაჭირვებას ბოლო არ უჩანდა, პირიქით, უბედურება მატულობდა კიდევ. ამის გამო მეფემ მოსახლეობა ორად გაყო და ბრძანა წილი ეყარათ, ვინ დარჩენილიყო და ვის დაეტოვებინა სამშობლო. თავად მეფე დარჩენილებს უერთდებოდა, ხოლო ლტოლვილებს სათავეში თავისი ძე ტირსენი ჩაუყენა. ვისაც წილად გამეზარება ხვდათ, ზღვით სძირნისკენ გასწიეს. იქ მათ გემები ააგეს, მთელი აუცილებელი საოჯახო ნივთები ჩატვირთეს და სარჩოსა და <ახალი> სამშობლოს საძებნელად გასცურეს. ბევრ ქვეყანას ჩაუარეს და ომბრიკთა მიწას მიაღწიეს. იქ ქალაქი ააშენეს, სადაც დღემდე ცხოვრობენ. სახელი შეიცვალეს და მეფის პატივსაცემად, რომელმაც ზღვის აქეთ გამოაღწევინა, ტირსენები დაირქვეს.“<sup>30</sup>*

სხვა ისტორიკოსები ეტრუსკების აკვნად ეგეოსის ზღვის კუნძულებს ასახელებს. დიონისე ჰალიკარნასელი მათ მკვიდრ კუნძულებელად მიიჩნევს. ბერძნები ასე უწოდებენ – ტირსენოი ან ტირენოი, რომაელები კი ტუსკებად, ტრუსკებად მოიხსენებენ; თავად ისინი საკუთარ თავს რასსენას ან რასნას უწოდებენ. თანამედროვე მეცნიერები უფრო სწორად ეტრუსკების აღმოსავლური წარმომავლობის თეორიას ემხრობიან. ერთ-ერთ ნაშრომში ცნობილი ეტრუსკოლოგი მასიმო პალოტინო ცოტა არ იყოს გაღიზიანებული წერს, რომ საკმარისია სალონიში ძველი ცივილიზაციების მკვლევარი გამოჩნდეს, მას მაშინვე სხვა რამეზე კი არა, ტირენიელების წარმომავლობაზე დააყრიან შეკითხვებს. ამ დროს არავინ აწუხებს მეცნიერებს მსგავსი კითხვებით ბერძნების ან რომაელების შესახებ, თითქოს, ეს საკითხები საბოლოოდ გარკვეული და საყოველთაოდ ცნობილი ყოფილიყოს, თუმცა, ისინიც სინამდვილეში ისეთივე რთულნი და საიდუმლოებით მოცულნი არიან, როგორც ეტრუსკთა წარმოშობა.

მეცნიერის ასეთი გაღიზიანება გასაგებია, მაგრამ რა ვუყოთ ადამიანებისთვის ესოდენ დამახასიათებელ ცნობისმოყვარეობასა და მოთხოვნილებას, რჯულამდე ჩავეყვით და ისე გამოვჩხრიკოთ? ის ვისი წარმომავლობაც უცნობია, მისი არსებობაც ვერ იქნება ჩვენთვის სრულფასოვანი. ეს მოთხოვნილება ძველ ისტორიკოსებსაც ესმოდათ. მათი თხზულებები გადავსებულია გენეალოგიებით, უხშირესად – გამოგონილით. ჩვენ ერთიანობას ცალკეული პიროვნების პრიზმიდან განვიხილავთ, გმირი მამა-პაპისგან დაწყებული. ჰეროდოტე, მეფე ლეონიდასზე საუბრისას, როცა მის წინაპრებს ჩამოთვლის, ჰერკულესამდე მიდის და ამგვარად განამტკიცებს ისტორიული პერსონაჟის ბიოგრაფიას მითური წინაპრებით.

ეტრუსკები ბერძნებისთვისაც იმისთანა გამოცანა იყო, მოსვენებას რომ არ აძლევდა მათ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ კოლონიზატორული დაპყრობების გზაზე პირველ სერიოზულ დაბრკოლებად მათ სწორედ ეტრუსკები მოველინენ. ისინი ხომ არაფრით მიესადაგებოდნენ ბარბაროსების კატეგორიას. მათ ხომ საკუთარი კულტურა და პოლიტიკური ორგანიზაცია

<sup>30</sup> ჰეროდოტე. ისტორია. წიგნი I, 94.

ჰქონდათ, რომელიც ბერძნულთან ძალზე ახლოს იდგა და მრავალი თვალსაზრისით ტოლს არ უდებდა მას. ამავდროულად, ლაპარაკობდნენ ენაზე, რომელიც მათ აგონებდა ნაცნობ დიალექტს კუნძულ ლემნოსის მკვიდრი მოსახლეობისა, სანამ მას ათენელები დაიპყრობდნენ. ამას ახლანაშს იქ აღმოჩენილი საფლავის სტელაც ადასტურებს, წარწერით ეტრუსკულთან ახლოს მდგომ ენაზე.

როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ ჩაკეტილ წრეს ვარაუდებისა და ჰიპოთეზებისა, რომლებშიაც ძველი ისტორიკოსებიც აღმოჩნდნენ ჩაფლულნი? ფრანც ალტჰაიმი და მასიმო პალოტინო გვთავაზობენ, ეტრუსკთა წარმომავლობის პრობლემა შევცვალოთ უფრო გააზრებული კითხვის დასმით: როგორ ყალიბდებოდა ეს ხალხი აპენინის ნახევარკუნძულზე?

მიუხედავად იმისა, ისინი მკვიდრი მცხოვრებნი არიან თუ აღმოსავლეთიდან მოსულნი, ეტრუსკთა ცივილიზაცია აღმოცენდა და განვითარდა იტალიის ტერიტორიაზე მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით. იგი ეთნიკურად შერეული იყო – მხოლოდ ერთ რომელიმე ტომს არ ეკუთვნოდა. ზუსტად ასევე, როდესაც ფრანგებზე ვსაუბრობთ (ან ნებისმიერ სხვა დიდ ხალხზე), შეგნებულნი გვაქვს, რომ ამ ხალხის ცნებაში გაერთიანდა მრავალი მოდგმა: კელტები, ლიგურები, რომაელები, ფრანკები, თუ შემოვიფარგლებით, ვინც მაშინვე გაგვასხენდება. ეს კიდევ ერთი კენჭია ნასროლი იმ მანიაკების ბოსტანში, ვინც ხალხებისა და ერების ეთნიკურ სიწმინდეზე საუბრობს.

ეტრუსკული ენის საიდუმლო უკვე სამას წელიწადზე მეტია აფორიაქებს მკვლევართა გონებას. უცნობი დამწერლობის გაშიფვრა ჩვეულებრივ ფონეტიკური შესატყვისობების ძიებასა და წარმოდგენილი ნიშნების აზრის გაგებამდე დადის. სწორედ ასე იყო იეროგლიფებისა და ლურსმული დამწერლობის შემთხვევაში. ეტრუსკული ენასთან მიმართებაში კი საქმე დიამეტრულად საწინააღმდეგოდაა და უბრალოდ პარადოქსულად. ჩვენ საკმაოდ იოლად შეგვიძლია ეტრუსკული ტექსტები წავიკითხოთ, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ გვესმის, უფრო ზუსტად, არც თუ ბევრის გაგება შეგვიძლია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეტრუსკთა ანბანური სისტემა (მიუხედავად საუკუნეების მანძილზე მასში მომხდარი ცვლილებებისა) ჩვენთვის ცნობილია. ვიცით, რომ ტირენიული ანბანი, როგორც ჩანს, ბერძნულიდან მომდინარეობს და რომ ცალკეული ნიშნები – ბერძნულისავე მსგავსად – ბგერებს აღნიშნავს. სამაგიეროდ, ეტრუსკული ფონეტიკა სრულიად განსხვავდება ბერძნულისგან (მაგალითად, ეტრუსკებთან სრულებით არ გვაქვს ხმოვანი „ო“, რომელიც „უ“-ს ჩაუნაცვლებია).

იმ უცნობი დამწერლობის ლინგვისტიკური მასალა, რომლის წაკითხვაც გვინდა, საკმარისად ვრცელი და, რაც მთავარია, ნაირგვაროვანი უნდა იყოს. ეტრუსკული ენობრივი ნიმუშების რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია და 10 ათასს აღწევს, მაგრამ სამი მართლაც მნიშვნელოვანი მონაპოვრის გარდა (რომელთა შორის ყველაზე დიდი ზაგრებში ინახება და 1500 სიტყვას შეიცავს), ეს ტექსტები მოკლეა და სასოს წარკვეთამდე ერთფეროვანი. თითქმის ყველა მათგანი საფლავზე გაკეთებული წარწერაა, დაახლოებით ასეთი შინაარსისა: *ველ კარტუნუსი, ვალტურისა და რამტი სატინეის ძე, ვარდაიცვალა ცხოვრების 28-ე წელს*. უმდიდრესმა ცივილიზაციამ პოემებისა და წმინდა წიგნების ნაცვლად, – რომელთა არსებობა, ჩვენ უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, – იმედგამაცრუებლად ერთფეროვანი ეპიტაფიების კრებული დაგვიტოვა.

ეს უმადური მასალა მკვლევრებს მაინც არ აფრთხობს. სანამ იღბლიანი აღმოჩენა საოცნებო საგანს – ორენოვან ტექსტს – არ ჩაუგდებს მათ ხელში, ისინი ეტრუსკული ჩანაწერების დამატებითი დახმარების გარეშე გაშიფვრას ცდილობენ. ერთნი დედუქციურ მეთოდს მიმართავენ: იმის მსგავსად, თეთრი საღებავის გრუნტით რომ ფარავენ მოსახატ ზედაპირს, სწორედ ასე ეტრუსკულს ქვეშ ამოუდებენ ცნობილ ძველ ენათაგან ერთ-ერთზე შესრულებულ ტექსტს, რომელსაც ეტრუსკულის მონათესავედ მიიჩნევენ. ასეთი ექსპერიმენტების ნუსხა დიდია. მომთმენი ფილოლოგები ცდილობდნენ ბნელით მოცულ ტექსტებში ივრითის, ბერძნული, ეგვიპტური, ასირიული, ხეთური ენების, ასევე იტალიური დიალექტების დახმარებით გარკვევას. თუმცა, ტირენიელთა ენა არაჩვეულებრივ წინააღმდეგობას უწევდა ამგვარ წაკითხვას. მეცნიერთა მეორე ნაწილმა ინდუქციური გზა აირჩია: ისინი უარს ამბობენ სხვა ენების დახმარებაზე და მხოლოდ საკვლევი ენის წიაღში მუშაობენ. ფლობენ რა ეტრუსკული რელიგიისა და მათი ცივილიზაციის შესახებ მნიშვნელოვან ცოდნას, მეცნიერები ეძებენ განმეორებად, ერთმანეთის

მსგავს ტერმინებს, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს ეტრუსკული რელიგიური რიტუალების პრაქტიკას, საზოგადოებაში მათი ტიტულების იერარქიას ან ისეთ ფაქტებს, რომლებიც სხვა წყაროებიდანაა ცნობილი. ორივე ზემოთ აღნიშნულ მეთოდის გამოყენებას დიდი სიფრთხილე და გაწაფულობა სჭირდება, თუმცა, აქამდე მათ საკმაოდ მოკრძალებული შედეგები გამოიღეს.

ფრანგი ეტრუსკოლოგი რაიმონ ბლოხი ჰყვება იმის შესახებ, თუ როგორ გამოუტყდა ტოსკანაში გათხრების დროს საკვლევი ტერიტორიის პატრონი მეცნიერს და მოუთხრო მის მიერ ნაპოვნი წარწერებით სულ ერთიანად დაფარული სვეტის შესახებ. მისი ერთი ნაწილი თურმე ლათინური ანბანის ასოებით ყოფილა მოფენილი, მეორე ნაწილზე გამოსახული ნიშნები კი სოფლის მცხოვრებისთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩენილიყო. ვინაიდან არ იცოდა ამხელა ქვისთვის რა ეყო, ადგა და უბრალოდ მიწაში დამარხა.

*„ადვილი წარმოსადგენია, რასაც ვგრძნობდი. ხომ არ იყო ეს ნანატრი ორენოვანი ლათინურ-ეტრუსკული ტექსტი? ჩემი ინფორმატორის მგლობელობაში არსებული ტერიტორიის შესწავლის უფლება ვითხოვე და დაუყოვნებლივ მივიღე კიდევ. სამწუხაროდ, გათხრებს შედეგი არ მოჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, ისეთი არა, როგორსაც მოველოდი. დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ქვები რომაული ეპოქის რამდენიმე შენობისა აღმოჩნდა, თუმცა არც ერთ მათგანზე კვალიც კი არ იყო ზედ დატანილი რაიმე წარწერისა. შეძვევ საკვლევი არეალიც ვაგაფართოვე, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა... იმდგაცრუებულმა და იმავდროულად აღელვებულმა საკუთარი წარუმატებლობის მიზეზის ვარკვევა ვცადე. სავარაუდოდ, ჩემი ინფორმატორი გლეხი მთელს თავის ტერიტორიას თხრიდა ეტრუსკული საგნების პოვნის იმედად, ვინაიდან მთელს ამ მხარეში უამრავი ტოსკანური სამარხი არსებობდა, რომლებიც ბევრ ძვირფას მასალას ინახავდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამგვარი გათხრებს ღამე აწარმოებდნენ უცხო გამვლელებისა და მეზობლების თვალთავან დაფარულად... ღამით განძის მაძიებლის წარმოსახვა უფრო ცოცხალი და თამამი ხდება... შესაძლოა, მან ყური მოჰკრა ჩემს სურვილს ლათინურ-ეტრუსკული წარწერის პოვნის შესახებ და ამ სურვილმა მის წარმოსახვაშიც კონკრეტული საგნის სახით იჩინა თავი. ასეთი რამ ხდება. დაუჯერებელი არც მეორე ახსნაა: შესაძლოა სვეტი მსგავსი წარწერით, მართლაც იპოვა ჩვენმა მაძიებელმა, მაგრამ მიწაში ჩაფლვის ნაცვლად – მისი მტკიცების საწინააღმდეგოდ – უბრალოდ, გაანადგურა იგი, უროთი დაამტვრია და სამშენებლო მასალად გამოიყენა. ასეთი ფაქტებიც არც თუ იშვიადად ხდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. თუმცა, ის ასეთი მკრეხელობის ჩადენას არასდროს აღიარებდა“.*

ეს ფრაგმენტი არქეოლოგიის შემთხვევითობასთან გამართული გონების წარმტაცი თამაშის მშვენიერი ილუსტრაციაა.

ამ დრომდე მეცნიერები კვლევა-ძიებას უმთავრესად ნეკროპოლების და არა ქალაქების ტერიტორიებზე აწარმოებდნენ. ასე რომ, საკმაოდ დამაჯერებლად ჩანს ადმინისტრაციულ ან სხვა საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ეტრუსკულ-რომაული დოკუმენტების, ცნობებისა და დეკრეტების არსებობა. მსგავსი დოკუმენტის აღმოჩენის იმედი საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით იმ ქალაქებში, რომლებიც ნაკლებადაა შესწავლილი, მით უფრო, რომ გამარჯვებულებს არ გაუნადგურებია დამარცხებულთა ჩვეულებანი და ენა, ეტრუსკულ-რომაული ეპოქა კი აგერ ჩვ. წ. მე-3 ს-მდე გაგრძელდა. კამპანიაში ანუ ეტრუსკული და ბერძნული გავლენების გადაკვეთის ადგილას, აგრეთვე, მცირე აზიაში მიმდინარე გათხრებს შეუძლია ამ საიდუმლოს ამოხსნამდე მიგვიყვანოს.

მრავალი წარუმატებლობის მიუხედავად, მეცნიერები არ ნებდებიან. ინტელექტის საიდუმლოებასთან გასაოცარი ჭიდილი არ წყდება. წერილობითი წყაროების უკმარისობას მნიშვნელოვანწილად აბათილებს მდიდარი მასალა – ხელოვნების ნიმუშთა სიმრავლე, რაც საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ეტრუსკების პოლიტიკური და პირადი ცხოვრება. პირველად არ ხდება, როცა წერილობით წყაროებს ხელოვნება ჩაენაცვლება და სწორედ ის იქცევა აღბეჭდილ არსებობაზე მინიშნებად და მოწმობადაც. ამით ჩნდება შესაძლებლობა, ტექსტების მონოტონური ბუტბუტის ნაცვლად საკუთარი თვალთ დაინახონ ეს ცივილიზაცია არა მარტო მეცნიერებმა, არამედ უბრალო მოყვარულებმაც. როგორც დევიდ ჰერბერტ ლოურენსი წერს, – ეს უკანასკნელნი არა იმდენად



ობიექტურ ჭეშმარიტებას, არამედ, უფრო მეტად, კავშირებს ეძიებენ. „ეტრუსკებიც – ეს თეორია კი არ არის და არც არგუმენტები. თუკი მათში მართლაც რაიმეა – გამოცდილება“<sup>31</sup>

დიდი ხნის განმავლობაში მეც დაბრმავებული ვიყავი და ვერ ვხედავდი ეტრუსკულ ხელოვნებას. მე მხოლოდ მზერას ვავლებდი მუზეუმში გამოფენილ ეტრუსკულ ბრინჯაოს, თითქოს ეს მეორეხარისხოვანი ბერძნული ნაკეთობები ყოფილიყო; ეტრუსკული საფლავების ქანდაკებები კი რომაულ ასლებად მეჩვენებოდა. თავად მომიხდა გამეველო მთელი გზა ეტრუსკების უგულვებელყოფიდან აღფრთოვანებამდე. მე-19 ს-ის ბოლომდე მათ ხელოვნებას ბერძნულის ნაკლებადმნიშვნელოვან გადამღერებად მიიჩნევდნენ. მსგავს მსჯელობას ახლა უკვე დაძლეული, ხელოვნების პროგრესის პოზიტივისტური თეორია ელო საფუძვლად.

ამ თეორიის მიხედვით, ანტიკურობის გვირგვინი ელინისტური პერიოდის ბერძნული ნატურალისტური ქანდაკება უნდა ყოფილიყო. ცუდი აკადემიური გემოვნების, საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან ნასესხებ თეორიასთან შერწყმამ, ეტრუსკები არარაობად აქცია. ჟიულ მარტას თავის 1989 წელს გამოცემულ წიგნში *ეტრუსკული ხელოვნება* მშვიდად შეეძლო განეცხადებინა, რომ ეს ყველაფერი მეტ-ნაკლებად წარმატებულ განმეორებამდე დადისო.

თუმცა მე-20 ს-ის დასაწყისში უეცრად ეტრუსკთა ხელოვნების აღქმაც და პერსპექტივაც



ბარელიეფი სარკოფაგის კელდიდან. ვოლტერა. ძვ. წ. II ს.

შეიცვალა. ამას არც თუ უმნიშვნელოდ შეუწყო ხელი თანამედროვე ხელოვნების რევოლუციურმა პროგრამებმა და მანიფესტებმა. ისტორიკოსების, კრიტიკოსებისა და პუბლიკის ყურადღება მიეპყრო იმ პერიოდებსა და სკოლებს, რომლებსაც მანამდე აბუჩად ივლებდნენ და კლასიკურ იდეალთან შედარებით პრიმიტიულად, დეკადენტურად, ბარბაროსულად მიიჩნევდნენ. აღნიშნულ იდეალთან პოლემიკაში ეტრუსკული ხელოვნება ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად იქცა.

თუმცა, აღნიშნული პოლემიკა და გადაფასების მცდელობანი არ შეხებია ხელოვნების ისტორიის

ერთ-ერთ ურთულეს, ეტრუსკების მხატვრული ავტონომიისა და მათი პლასტიკის ორიგინალურობის პრობლემას. მართალია, ლაპარაკობდნენ ტირენიელთა ნაწარმოებების ისეთ განმასხვავებელ ნიშნებზე, როგორებიცაა: მაღალი ექსპრესია, რომელიც მიიღწეოდა წვრილმანების აქცენტირების წყალობით მთლიანობის ჰარმონიის უგულვებელყოფის ხარჯზე; მოძრაობის შეგრძნება; მხატვრული მონახაზისადმი სიყვარული; ნაწარმოებთა თვისუფალი და ღია სტრუქტურა; ასევე აბსტრაქტული ფორმების გამოყენების ტენდენცია. ეს ყველაფერი მშვენივრად ჟღერს, მაგრამ ეტრუსკულ ხელოვნებასთან ურთიერთობა ჩემთვის განუწყვეტელი მერყეობა იყო აღფრთოვანებასა და იმედგაცრუებას შორის. ეს კი განაიარალებდა ჩემს კრიტიკულ ალღოს და მართმევდა ანალიზის უნარს. ეს ის თავგადასავალია, რომლის ძიებაც მინდა ვურჩიო მოუთმენელ კლასიფიკატორებს.

ბევრისთვის ხელოვნების ნიმუშებთან ურთიერთობა ნიშნავს მხოლოდ მშვენიერების ნიმუშად მიჩნეულის კიდევ ერთხელ აღიარებას. ამგვარი მხილველისთვის ეტრუსკული ხელოვნების კარი შეუღწევლად და გარდაუვალად იქნება დახშული. იმისთვის, რომ იგი მთლიანად შეიგრძნო, საჭიროა საკუთარ თავში გამოიმუშავო სპონტანური და უშუალო რეაქციის უნარი, უნარი ჩვეულებრივისგან განსხვავებული საგნების მიმართ გაგიჩნდეს სინარულის მომგვრელი ცნობისმოყვრეობა. ეტრუსკების გაკვეთილი ესთეტიკური ცრურწმენებისგან გათავისუფლების გაკვეთილია იმის სასწავლად, თუ რაში მდგომარეობს განსახილველ საგანთან თვალის ძნელად განსასაზღვრი უანგარო თამაშის არსი.

რაც უფრო მეტად ვეცნობოდი ეტრუსკულ ნეკროპოლებს, ბრინჯაოს ახალ ქმნილებებსა და სკულპტურებს, მით უფრო არ მტოვებდა მზარდი ქაოსის შეგრძნება. რთულია დაინახო რამენაირი აშკარად გამოხატული განვითარების ხაზი ამ ხელოვნებაში ან შეძლო მისი გონივრული, ყველაფერს რომ აგიხსნის, ისეთი დაყოფა სკოლებად და პერიოდებად. უეჭველი შედეგები,

<sup>31</sup> D. H. Lawrence. Etruscan Places. London, 1932.

რომელთა გარეშე ჩვენი წარმოსახვის მუზეუმები ძალიან გადარიბდებოდა, – აპოლონი ვეიდან, მეუღლეთა სარკოფაგი კაერედან, – თანაარსებობენ ხელოვნების ნიმუშებთან, რომელთა სერიული ხასიათი და მხატვრული მეორეულობა ერთდროულად აოცებს მნახველს და თავიდანაც იცილებს. ეტრუსკული ხელოვნების თითქმის ყველა ნაწარმოები თავის თავში სამ დროს მოიცავს: მასში არის უძველესი წარსულის მემკვიდრეობა, მისი თანამედროვე ბერძნული ხელოვნების გავლენა და წინარე განჭვრეტა რომაული ხელოვნებისა. როგორც ჩანს, ეტრუსკები, როგორც ხელოვნებაში, ისე ცხოვრებაშიც, მოუხელთებელი ფორმულისა და სანუკვარი იდეის მუდმივ დევნა-ძიებაში იყვნენ.

მელანქოლური გასეირნება: ჩერვეტერი, ტარკვინია, ვოლტერა, ვეი... ხშირი ბალახით დაფარული ქვის სამარხების ბორცვები... ფიჭვების, ჭრიჭინებისა და კვიპაროსების სამეფოში, მიწისქვეშ არც ისე ღრმად კედლებზე გამოხატული ნადიმები, ნადირობისა და ცეკვების ამსახველი სცენები... ყველაზე მეტად მენსიერებაში საფლავის სკულპტურები იბეჭდება. მამაკაცი, რომელიც მაღლა აწეული თავით იდაყვს დაყრდნობილა და შიშველი ტორსი ისე დაუფარავს ფარდაგით, თითქოს, მარადისობა გრძელი და ცხელი ზაფხულის ღამე ყოფილიყოს.

პოლონურიდან თარგმნეს  
**არჩილ წერედიანმა, ჰენრიკ პაპროცკიმ და მიხეილ ფელიაევმა**



აპოლონის სკულპტურა ვეიდან. ძვ. წ. დაახ. 500 წ.